

ნდობის აღდგენისა და შერიგების საკითხებში აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის
მინისტრის აპარატი



2016 წლის ანგარიში სრულად

ნდობის აღდგენისა და შერიგების საკითხებში აფხაზეთის მინისტრის ა/რ აპარატის მიერ განხორციელებული სამუშაოების შეფასების მთავარი კრიტერიუმია ნდობის აღდგენისა და შერიგების (სფეროში) ინოვაციური მიდგომების შემუშავება, აფხაზეთის გახლეჩილი საზოგადოების წევრებს შორის ნდობის აღდგენისა და შერიგების პროცესის ხელშეწყობა, გაყოფილ ტერიტორიებზე მცხოვრებ, საერთო ინტერესების მქონე ჯგუფებს შორის ურთიერთობების ხელშეწყობა, საინფორმაციო ტექნოლოგიების და სხვა ტიპის ელექტრონული კომუნიკაციების მეშვეობით ურთიერთობის, დიალოგისა და ნდობის აღდგენის ხელშეწყობა გამყოფი ხაზებით დაშორიშორებულ საზოგადოებას შორის.

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ამ პროცესებში ახალგაზრდების ჩართულობა და საერთაშორისო და ადგილობრივი ინტიტუციების დახმარებით, მათი დამეგობრებისათვის ხელშეწყობა. ინოვაციურ პროექტებში სახალხო დიპლომატიის როლის გაძლიერება, კულტურული მემკვიდრეობის, განათლების, ჯანდაცვის, ეკონომიკის, სპორტის და სხვა სფეროში არსებული და ახალი შესაძლებლობის გამოყენება.

აქედან მიმდინარე, მიმდინარე წლის პირველ კვარტალში ნდობის აღდგენისა და შერიგების საკითხებში აფხაზეთის ა/რ მინისტრის აპარატის საქმიანობა მიმდინარეობდა დებულებით გათვალისწინებული პრიორიტეტებისა და სამუშაო გეგმის შესაბამისად.

ურთიერთობა საქართველოს ცენტრალურ უწყებებთან და ჩართულობა 2016 წლის გამოწვევების განხორციელებაში

საანგარიშო პერიოდში ნდობის აღდგენისა და შერიგების საკითხებში აფხაზეთის ა/რ მინისტრის აპარატმა დაამყარა კავშირები იმ უწყებებთან, ადგილობრივ და საერთაშორისო ორგანიზაციებთან, რომელებიც, მინისტრის აპარატის ძირითადი დებულებებიდან გამომდინარე, პირდაპირ კავშირშია აფხაზეთის ა/რ მინისტრის აპარატის საქმიანობასთან.

კერძოდ,

- ჩატარდა საქმიანი შეხვედრები დიასპორის საკითხებში საქართველოს მინისტრის აპარატთან და მოხდა შეთანხმება გრძელვადიან ერთობლივ სამოქმედო გეგმასთან მიმართებაში. აფხაზეთის ა/რ მთავრობის მინისტრის აპარატს, ნდობის აღდგენისა და შერიგების საკითხებში, საშუალება ეძლევა ჩართულ იქნას იმ პროექტებში, რომელსაც ახორციელებს დიასპორის საკითხებში საქართველოს მინისტრის აპარატი, თავის მხრივ დიასპორის საკითხებში საქართველოს მინისტრის აპარატი გრძელვადიან პერსპექტივაში

გეგმავს აფხაზეთის ა/რ მთავრობის მიერ შექმნილ ახალ უწყებასთან აქტიურ ჩართულობას ახალი უწყების შიდა პროექტებში.

- აქტიური მუშაობა მიმდინარეობს იმერეთის რეგიონთან, რომელიც ნდობის აღდგენისა და შერიგების საკითხებში სამშვიდობო რესურსების მობილიზებას და ამ საკითხის პოპულარიზაციას ეხება. აღნიშნული პროექტი გრძელვადიანია.
- საანგარიშო პერიოდში დაიგეგმა ასევე პროგრამა, აჭარის რეგიონის სახელმწიფო სტრუქტურების ჩართულობასთან დაკავშირებით, ნდობის აღდგენისა და შერიგების სამშვიდობო რესურსების მოძიებასთან მიმართებაში აღნიშნულ რეგიონში. მიმდინარეობს მოლაპარაკებები განსახორციელებელ ღონისძიებებთან მიმართებაში.
- საქმიანი ურთიერთობები დამყარდა შერიგების საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატთან.

საერთაშორისო და ადგილობრივ არასამთავრობო სექტორთან ურთიერთობა

საანგარიშო პერიოდში ნდობის აღდგენისა და შერიგების საკითხებში აფხაზეთის ა/რ მინისტრის აპარატმა დაამყარა კავშირები საერთაშორისო ორგანიზაციებთან, ასოციაციებთან და ადგილობრივ არასამთავრობო ორგანიზაციებთან, რომელნიც ნდობის აღდგენისა და შერიგების საკითხებში აფხაზეთის ა/რ მინისტრის აპარატის დებულებით განსაზღვრული ამოცანების განხორციელებას უწყობს ხელს. კერძოდ:

- საქართველოს სპორტის და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტრო
- პოლონური არასამთავრობო ორგანიზაცია - ედუკატორი (პოლონეთი, ვარშავა)
- დელ ბიანკოს ფონდი (იტალია. ქალაქი ფლორენცია) ფლორენცია
- იტალიური ორგანიზაცია „ლიბელულა“ (იტალია ქალაქი - პალერმო)
- იტალიური ორგანიზაცია „პრომეთეო“ (იტალია, ქალაქი - პალერმო)
- არასამთავრობო ორგანიზაცია „მშვიდობა და განათლება“
- დიტრიხ ბოილის ფონდი
- ბერგჰოფის ფონდი
- ებერტის ფონდი
- საერთაშორისო ასოციაცია „კივიტას გეორგია“
- კონფლიქტების და მოლაპარაკებების საერთაშორისო ცენტრი“
- კავკასიური სახლი

- ცხუმ აფხაზეთის აკადემია
- ბავშვთა ახალგაზრდობის განვითარების ფონდი
- კავკასიის ახალგაზრდული ალიანსი

სამშვიდობო ინიციატივათა პროგრამა

განხორციელებული პროექტების ჩამონათვალი

ნდობის აღდგენისა და შერიგების საკითხებში აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრის აპარატის სტრატეგიის ნაწილია სამშვიდობო ინიციატივათა პროგრამა, რომელიც ითვალისწინებს ქართულ და აფხაზურ საზოგადოებებს შორის ნდობის აღდგენის ხელშეწყობას, ტოლერანტობის უნარ-ჩვევების განვითარებას, ადამიანის უფლებათა პატივისცემას, წიგნიერების დონის ამაღლებას, წიგნიერების სტრატეგიების დაუფლებასა და დანერგვას პრაქტიკაში სამშვიდობო განათლებით, ქართული და აფხაზური საზოგადოებების საგანმანათლებლო შესაძლებლობების განვითარების ხელშეწყობას ნდობის აღდგენისა და შერიგებისათვის.

სამეცნიერო კვლევა „წარსულის ტყვეობაში: ქართველი დევნილების ჩახშული ხმები და სოციალური ინტეგრაციის დილემა“ (იანვარი, 2016)

მეხსიერების კვლევების კავკასიურმა ცენტრმა (ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტი) განხორციელა კვლევა ნორვეგიის საერთაშორისო საქმეთა ინსტიტუტის მიერ 2015 წელს დაფინანსებული სამეცნიერო პროექტის ფარგლებში. კვლევის ერთ-ერთი უმთავრესი კომპონენტი იყო ფოკუს ჯგუფის ჩატარება, რომელშიც აქტიური მონაწილეობა მიიღო ნდობის აღდგენისა და შერიგების საკითხებში აფხაზეთის ა/რ მინისტრის აპარატმა.

კვლევის დასახელებაა: „წარსულის ტყვეობაში: ქართველი დევნილების ჩახშული ხმები და სოციალური ინტეგრაციის დილემა“. კვლევითი ჯგუფი მიზნად ისახავდა აკადემიური კვლევის განხორციელებას და, ამასთან ერთად, დევნილების პრობლემებზე მომუშავე სამთავრობო დაწესებულებებისთვის თუ არასამთავრობო ორგანიზაციებისთვის პრაქტიკული რეკომენდაციების შემუშავებას.

**დედის დღისადმი მიძღვნილი საღამო „მადლობა უკვდავებაში გარდასულ შვილთა დედებს“
(4 მარტი, 2016)**

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის, ნდობის აღდგენისა და შერიგების საკითხებში აფხაზეთის ა/რ მინისტრის აპარატის, აფხაზეთის სულიერებისა და კულტურის ცენტრისა და საქართველოს მოსწავლე-ახალგაზრდობის ეროვნული სასახლის ორგანიზებით, მოსწავლე ახალგაზრდობის ეროვნულ სასახლეში დედის დღისადმი მიძღვნილი საღამო სახელწოდებით „მადლობა უკვდავებაში გარდასულ შვილთა დედებს“ გაიმართა.

საღამოზე შეკრებილ დედებს სიტყვით მიმართეს აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელმა ვახტანგ ყოლბაიამ, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე ელგუჯა გვაზავამ, შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის პირველმა მოადგილემ ქეთევან ციხელაშვილმა, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის მინისტრმა დიმიტრი ჯაიანმა, აფხაზეთის სულიერებისა და კულტურის ცენტრის თავმჯდომარე სვეტლანა ქეცბამ, აფხაზეთის მეომართა კავშირის თავმჯდომარე ზურაბ შამუგამ და აფხაზეთის ომში დაღუპული გმირების დედებმა. ღონისძიებას აგრეთვე ესწრებოდნენ აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის წევრები და უმაღლესი საბჭოს დეპუტატები.

საღამოს ბოლოს მეომართა დედებისათვის დედის დღესთან დაკავშირებით კონცერტი გაიმართა, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს ბავშვთა სიმღერისა და ცეკვის ანსამბლებმა.

ქალთა საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება სახელწოდებით „ქალი მომავლის რწმენით“ (12 მარტი, 2016)

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის, აფხაზეთის სულიერებისა და კულტურის ცენტრისა და საქველმოქმედო ფონდ „მომავლის გზის“ ინიციატივითა და ნდობის აღდგენისა და შერიგების საკითხებში აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის სამინისტროს მხარდაჭერით ქალაქ რუსთავში მდებარე №5 პენიტენციალურ დაწესებულებაში ქალთა საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება სახელწოდებით „ქალი მომავლის რწმენით“ გაიმართა.

ღონისძიებას ესწრებოდნენ აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი ვახტანგ ყოლბაია, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის მინისტრი დიმიტრი ჯაიანი, ნდობის აღდგენისა და შერიგების საკითხებში აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრის პირველი მოადგილე ბელა კოპალიანი, საქართველოს სახალხო არტისტი მედეა ამირანაშვილი, საქართველოს სახალხო არტისტი ელდარ გეწაძე, თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის

სახელმწიფო კონსერვატორიის პროფესორი თეიმურაზ ელიავა, თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის პროფესორი დარეჯან მახაშვილი.

შეხვედრისას, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობამ და აფხაზეთის სულიერებისა და კულტურის ცენტრმა პენიტენციალურ დაწესებულებას ბიბლიოთეკისათვის საჩუქრად წიგნები გადასცა.

ნდობის აღდგენისა და შერიგების სამშვიდობო რესურსები (29 მარტი, 2016)

ნდობის აღდგენისა და შერიგების საკითხებში აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრის აპარატის ორგანიზებით „ნდობის აღდგენისა და შერიგების სამშვიდობო რესურსები“-ს პროგრამის ფარგლებში გაიმართა მრგვალი მაგიდა თემაზე „აფხაზეთი დღეს. პრობლემები და გამოწვევები“, რომელშიც მონაწილეობდნენ აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობა, ასოციაცია „მშვიდობა და განათლება“ და ცხუმ-აფხაზეთის მეცნიერებათა აკადემია .

შეხვედრას აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი ვახტანგ ყოლბაია და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრი ნდობის აღდგენისა და შერიგების საკითხებში დავით გვამაბია ესწრებოდნენ.

ღონისძიების მიზანი იყო ახალგაზრდების მეტად ჩართულობა აფხაზეთის თემასთან დაკავშირებული პრობლემების განხილვისა და გადაწყვეტილების მიღების პროცესში. მრგვალი მაგიდაში მონაწილეობა მიიღეს სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციებმა, აკადემიური წრის წარმომადგენლებმა და აფხაზეთის თემით დაინტერესებულმა სხვადასხვა უნივერსიტეტის სტუდენტებმა.

შეხვედრაზე განიხილეს აფხაზეთში პოლიტიკურ, სოციალურ-ეკონომიკურ და კულტურულ სფეროში არსებული პრობლემები და მათი გადაჭრის გზები, როგორც ადგილობრივ, ისე საერთაშორისო დონეზე.

მსგავსი ფორმატის შეხვედრები აფხაზეთის თემაზე სისტემატიური ხასიათის იქნება და საქართველოს თითქმის ყველა უმაღლეს სასწავლებელში გაიმართება.

შეხვედრა ოსკაროსან პროდიუსერთან სილია ვან დაიკთან (5 აპრილი, 2016)

ვალერი არქანიას სახელობის სამხატვრო გალერეაში აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის მხარდაჭერით და ნიდერლანდების დიასპორის წარმომადგენლის

პროდიუსერ დალი უბილავა-დე გრეაფის პროექტის „ოსკარი გადაეცემა - სილია ვან დაიკის ვორქშოფები“-ს ფარგლებში აფხაზეთის მთავრობის შემოქმედებითი კოლექტივი ოსკაროსან პროდიუსერს სილია ვან დაიკის შეხვდა.

ღონისძიებას აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი ვახტანგ ყოლბაია, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე ელგუჯა გვაზავა, აფხაზეთის მთავრობის წევრები, უმაღლესი საბჭოს დეპუტატები და შემოქმედებითი კოლექტივი ესწრებოდნენ.

შეხვედრაზე ანიმაციური ფილმების რეტროსპექტივა გაიმართა და ოსკაროსანმა პროდიუსერმა აფხაზეთის შემოქმედებითი კოლექტივისათვის ვორქშოფი ჩაატარა.

ლტოლვილთა საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი საღამო, ფოტო-გამოფენა „მუჰაჯირების ნაკვალევზე“ (20 ივნისი, 2016)

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ხელისუფლების ორგანიზებით კოტე მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო დრამატულ თეატრში ლტოლვილთა საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი საღამო გაიმართა.

ღონისძიებაში მონაწილეობდნენ აფხაზეთის სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლი „აფხაზეთი“, გურამ ყურაშვილის სახელობის აფხაზეთის სახელმწიფო საგუნდო კაპელა, აფხაზეთის ფოლკლორული ანსამბლი „დიოსკურია“, კვარტეტი „აფხაზეთი“, ბავშვთა ანსამბლი „კაკვასიონი“, საქართველოს სახალხო არტისტი დიმიტრი ჯაიანი, მომღერალი მარიკა გულორდავა, პიანისტები ანა და გიგა პაპაევები. თეატრის ფოიეში მოეწყო აფხაზეთის კულტურული მემკვიდრეობისა და მუჰაჯირობის ამსახველი ფოტო-მასალისა და აფხაზეთის მხატვართა ნამუშევრების გამოფენა.

ლტოლვილთა საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილ საღამოს ესწრებოდნენ აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი ვახტანგ ყოლბაია, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე გია გვაზავა, აფხაზეთის მთავრობის წევრები და უმაღლესი საბჭოს დეპუტატები, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა მინისტრ სოზარ სუბარი, პარლამენტის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის საკითხთა დროებითი კომისიის თავმჯდომარე გიორგი ვოლსკი, აღმასრულებელი და საკანონმდებლო ხელისუფლების, საქართველოში აკრედიტირებული დიპლომატიური კორპუსის, საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლები და დევნილი საზოგადოება.

მიმდინარე წლის 24 ივნისს ქ. ფოთში აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობა, ნდობის აღდგენისა და შერიგების საკითხებში აფხაზეთის ა/რ მინისტრის აპარატი შეხვდა ქ. ფოთში მცხოვრებ დევნილ ახალგაზრდებს.

შეხვედრის მიზანი იყო დევნილი ახალგაზრდების ინფორმირება აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობისა და მინისტრის აპარატის მიერ საერთაშორისო და ადგილობრივ დონეზე განხორციელებული და დაგეგმილი ახალგაზრდული პროექტების შესახებ. აღნიშნული ღონისძიება ითვალისწინებდა ახალგაზრდებთან შეხვედრას, რეგიონში მცხოვრები დევნილი ახალგაზრდების პრობლემებისა და საჭიროებების კვლევას და პრიორიტეტული პრობლემების განსაზღვრას, რის საფუძველზეც სამომავლოდ შემუშავდება პროგრამები, რომლის განხორციელების პროცესშიც უშუალოდ ამ რეგიონის ახალგაზრდები მიიღებენ მონაწილეობას. ახალგაზრდებმა შეავსეს კვლევის კითხვარები, სადაც გამოიკვეთა ისეთი საკითხები, რომლებიც საჭიროებენ რეაგირებას. ასევე გამოიკვეთა ახალგაზრდების ინტერესების სფერო, შესაძლებლობები, გამოცდილება, ახალგაზრდულ პროექტებში მათი ჩართულობის მოტივაცია და სიხშირე.

შეხვედრის სამიზნე ჯგუფს წარმოადგენდა 16-დან 25 წლამდე 50 ახალგაზრდა. ახალგაზრდებმა დამსწრეთ გაუზიარეს საკუთარ გამოცდილება და გაუწიეს კონსულტაციები სამომავლო პროექტებში ჩართულობის მიზნით.

ახალგაზრდებს მიეცათ საშუალება დაეფიქსირებინათ საკუთარი აზრი, თუ როგორი იყო მათი მოლოდინი აღნიშნული შეხვედრის შესახებ და რა მიიღეს მათ ამ შეხვედრიდან.

შეხვედრის პარალელურად მოხდა ინტერვიუების აღება ახალგაზრდებთან, რომელიც გამოყენებული იქნება დოკუმენტური ფილმისათვის.

ღონისძიება ახალგაზრდებთან ერთად მიჰყავდა ნდობის აღდგენისა და შერიგების საკითხებში აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრის პირველ მოადგილეს ქალბატონ ბელა კოპალიანს. ღონისძიების პარტნიორი ორგანიზაცია იყო ფოთში განსახლებულ იძულებით გადაადგილებულ პირთა საზოგადოებრივი საბჭო. ღონისძიებას ესწრებოდა ნდობის აღდგენისა და შერიგების საკითხებში აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრი ბატონი დავით გვამაბია. ღონისძიებას ესწრებოდნენ ასევე ადგილობრივი და საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენლები: აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის წარმომადგენლობა დასავლეთ საქართველოში, ქ.ფოთის მუნიციპალიტეტის მერიის წარმომადგენლები, ფოთში განსახლებულ იძულებით გადაადგილებულ პირთა საზოგადოებრივი საბჭო, IPYG საერთაშორისო მშვიდობის ახალგაზრდული ჯგუფის კოორდინატორი, მეწარმე ქალთა ფონდი, ვახტანგ ხორავა - ქველმოქმედი, ბიზნესმენი. მათ დადებითად შეაფასეს ფოთში ახალგაზრდების ჩართულობის მიმართულებით განხორციელებული პროექტი და ახალგაზრდებს პარტნიორობა აღუთქვეს სამომავლო პროექტების განხორციელების დროს.

ზემოთ აღნიშნული ღონისძიების ფარგლებში განხორციელდა:

- ა) ახალგაზრდული ფორუმის ფარგლებში ახალგაზრდების მიერ შემუშავებული 8 პროექტის განხილვა
- ბ) მათ განსახორციელებლად შესაბამისი რესურსის განსაზღვრა
- გ) განხორციელების გეგმის შემუშავება
- დ) პროექტების მიმდინარეობის მონიტორინგისათვის კონკრეტული ჯგუფის შექმნა
- ე) პროექტების განსახორციელებლად შესაბამის დონორებთან შეხვედრის დაგეგმვა

„ქართველი და აფხაზი ახალგაზრდების სამოქალაქო ცნობიერების ამაღლება ნდობის აღდგენისა და შერიგებისთვის“ (22-27 სექტემბერი)

ნდობის აღდგენისა და შერიგების საკითხებში აფხაზეთის მინისტრის აპარატმა, საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს სსიპ „ბავშვთა და ახალგაზრდობის ეროვნულ ცენტრთან“ პარტნიორობით „ქართველი და აფხაზი ახალგაზრდების სამოქალაქო ცნობიერების ამაღლება ნდობის აღდგენისა და შერიგებისთვის“ პროგრამის ფარგლებში განახორციელა პროექტი, რომელის მიზანი იყო:

- ერთი კვირის განმავლობაში ზუგდიდსა და მის შემოგარენში მცხოვრები დევნილი ახალგაზრდების არაფორმალურ საგანმანათლებლო აქტივობებში ჩართვა;
- მოზარდებში სამოქალაქო ცნობიერების ამაღლება, გუნდური უნარ - ჩვევების გამომუშავება, ადამინის უფლებების შესახებ ცნობიერების ამაღლება
- მოხალისეობისა და აქტიური მოქალაქეობის წახალისება, კრეატიული და ანალიტიკური აზროვნების განვითარება, გარემოსდაცვითი ცნობიერების ამაღლება;

კვირეული გაიმართა ზუგდიდსა და თბილისში. პროგრამის პარალელურად მოეწყო კულტურულ -შემეცნებითი ტურები.

პროექტის დასრულების შემდეგ შემაჯამებელი შეხვედრები ჩატარდა საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროში, სსიპ „საქართველოს ბავშვთა და ახალგაზრდობის ეროვნულ ცენტრში“. აფხაზეთის მთავრობაში პროექტის მონაწილე ახალგაზრდებს შეხვდა

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი ბატონი ვახტანგ ყოლბაია, რომელმაც დადებითად შეაფასა ჩატარებული სამუშაო და აღნიშნა, რომ მსგავსი პროექტები ხელს უწყობს ახალგაზრდების სამოქალაქო ცნობიერების ამაღლებას და მათ ჩართულობას პროცესებში, რომელიც ემსახურება ნდობის აღდგენასა და შერიგებას. ღონისძიებაზე მონაწილეებს სიტყვით მიმართა ასევე სსიპ „ბავშვთა და ახალგაზრდობის ეროვნული ცენტრის „ დირექტორმა ბატონმა გიგა გაბელაიამ და ამავე ცენტრის დეპარტამენტის ხელმძღვანელმა ქალბატონმა ბელა სარიამ.

კულტურათაშორისი დიალოგი აღმოსავლეთ პარტნიორობის პროგრამის ფარგლებში (ფლორენცია, 13-20 ნოემბერი, 2016)

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობასა და რომუალო დელ ბიანკოს ფონდს შორის 2014 წელს გაფორმებული მემორანდუმის ფარგლებში იტალიის ქალაქ ფლორენციაში 13-20 ნოემბერს ნდობის აღდგენისა და შერიგების საკითხებში აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის მინისტრის აპარატის ორგანიზებით საერთაშორისო პროექტი „კულტურათაშორისი დიალოგი აღმოსავლეთ პარტნიორობის პროგრამის ფარგლებში“ განხორციელდა.

პროექტი საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს, საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს, საქართველოს პარლამენტის წევრის ადა მარშანიას, საქართველოს საელჩოს იტალიის რესპუბლიკაში, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის, რომაული დელ ბიანკოს ფონდის, ორგანიზაცია „რონდინე“-ს, საქართველოს საპატრიარქოს, რობერტ კენედის ფონდის, ერნესტო ბალდუჩის ფონდის, აჭარის სკოლა „გორდა“-სა და სხვადასხვა ქვეყნის უნივერსიტეტების მხარდაჭერით განხორციელდა.

პროექტში რვა ქვეყნის წარმომადგენელი მონაწილეობდა, მათ შორის იყვნენ საქართველოს საპატრიარქოს წარმომადგენლები, ქართველი და აფხაზი ახალგაზრდები თბილისის, სოხუმის და ბათუმის უნივერსიტეტებიდან.

აღმოსავლეთის პარტნიორობის პროგრამა წარმოადგენს ევროკავშირთან სტრატეგიული თანამშრომლობის ამბიციურ პროექტს, რომლის პრიორიტეტული მიმართულებაა პარტნიორ ქვეყნებთან კულტურული თანამშრომლობისა და ინტეგრაციული პროცესების გაღრმავება. ევროინტეგრაციის საერთო კონტექსტში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ადგილი უკავია კულტურულ დიალოგსა და თანამშრომლობას. აღმოსავლეთ პარტნიორობის კულტურული პროგრამის თემატური პლატფორმა - „ადამიანებს შორის კონტაქტები“ - ხელს უწყობს კულტურათა დაახლოებას, სხვადასხვა საზოგადოებას შორის ტოლერანტული განწყობის ჩამოყალიბებას და

სოციალური სოლიდარობის განვითარებას. კულტურის სფეროში თანამშრომლობა და კულტურათაშორისი დიალოგი წარმოადგენს საგარეო პოლიტიკის შემადგენელ ნაწილს და ხაზს უსვამს კულტურის სფეროში თანამშრომლობის მნიშვნელობას პოლიტიკური პროცესების მართვასა და გამოწვევების დაძლევაში. აღმოსავლეთ პარტნიორობის პროგრამაში ჩართული ქვეყნები ერთმანეთისაგან განსხვავდებიან თავიანთი კულტურული ტრადიციებითა და ღირებულებებით.

პროექტის მიზანი იყო საქართველოს აქტიური ჩართულობა ინტერკულტურულ დიალოგში, საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის პოპულარიზაცია, საერთაშორისო საზოგადოების ყურადღების გამახვილება ქართულ-აფხაზური კულტურული ფასეულობების შენარჩუნების პროცესში, ქართველ და აფხაზ ახალგაზრდებს შორის ურთიერთობებისა და ნდობის აღდგენა, სახალხო დიპლომატიის ხელშეწყობა.

**პროექტს „საზოგადოების ჩართულობა ნდობის აღდგენისა და შერიგებისათვის“
(23-24 დეკემბერი, 2016)**

2016 წლის 23-24 დეკემბერს ნდობის აღდგენისა და შერიგების საკითხებში აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრის აპარატმა, ქ. ბათუმის კერძო მრავალპროფილიანი საერო ელიტარული სკოლამ, შპს „გორდამ“, საპატრიარქოსთან არსებული წმინდა თამარ მეფის სახელობის უნივერსიტეტმა, აჭარის მთავრობისა და ბათუმის მერიის ჩართულობით ქ. ბათუმში განახორციელა პროექტი „საზოგადოების ჩართულობა ნდობის აღდგენისა და შერიგებისათვის“. პროექტის სლოგანია - საერთო წარსულით საერთო მომავლისკენ.

ღონისძიების ოფიციალური ნაწილი ჩატარდა შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში, სადაც მოეწყო ფილმის „საერთო წარსულით, საერთო მომავლისაკენ“ პრეზენტაცია. გაიმართა მინისპექტაკლი და ქართულ-აფხაზური კულტურის პერფორმანსი. ღონისძიების ფარგლებში მოხდა სკოლის ქართულ-აფხაზური ურთიერთობების მუზეუმის დათვალიერება, ჩატარდა მრგვალი მაგიდა, რომელშიც მონაწილეობას მიიღეს ქართულ-აფხაზური საგის წარმომადგენლებმა, სასულიერო პირებმა, მეცნიერებმა, მთავრობის წარმომადგენლებმა, ახალგაზრდებმა სხვადასხვა სასწავლებლებიდან. ასევე, განხორციელდა ვიზიტი ბათუმის მერიაში.

ამავე პროექტის ფარგლებში მოეწყო გამოფენა და პენმარათონის/ფესტივალის მასალების (საუკეთესო ესსე) და აფხაზეთის დემოგრაფიული რუკის მაკეტის პრეზენტაცია.

ღონისძიების ჩატარების მიზანია გამოვლინდეს და წახალისდეს საზოგადოების და განსაკუთრებით ახალგაზრდა თაობის ჩართულობა ნდობის აღდგენისა და შერიგების პროცესებში.

ს ა ქ მ ი ს წ ა რ მ ო ე ბ ა

დაწესებულია მკაცრი კონტროლი შემოსული დავალებების დროულად და ხარისხიანად შესრულებაზე, შემოსული განცხადება-საჩივრების რეაგირებაზე, მოქალაქეთა მომსახურებაზე.

აღნიშნულ საანგარიშო პერიოდში:

1. შემოსულია 157 ოფიციალური წერილი
2. 97 სამართლებრივი აქტი
3. გასულია 153 ოფიციალური წერილი